

მასაჟისტ-რეაბილიტატორი



მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: მასაჟისტ-რეაბილიტატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება

მიზანი: პროგრამის მიზანია მასაჟიტი რეაბილიტატორების მომზადება, რომლებიც ხარისხიანად შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, გამოიყენებენ ცოდნას და უნარებს შრომითი საქმიანობის ფარგლებში. ასევე, პროგრამა ხელს შეუწყობს მასაჟისტთა პროფესიული დონის ამაღლებას, ფართო საზოგადოების მხრიდან ინტერესის გაზრდას ამ პროფესიის მიმართ; დასაქმების შესაძლებლობების გამრავალფეროვნებას.

სწავლის შედეგები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- პაციენტის/კლიენტის ზოგადი მდგომარეობის შეფასება
- კონკრეტული კლიენტის სამკურნალო პროცესის ეფექტურად დაგეგმვა
- პაციენტისათვის შესაბამისი მომსახურების გაწევა სპეციალური მექანიკური მანიპულაციებით (სამასაჟე ილეთები)
- კოსმეტიკური და ესთეტიკური მასაჟის პროცედურების ჩატარება
- სხვადასხვა ტიპის სამკურნალო მასაჟის პროცედურის ჩატარება
- ცოდნის ამაღლების მიზნით პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავება.

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს საავადმყოფოებში, პოლიკლინიკებში, რეაბილიტაციის ცენტრებში, სპორტულ დარბაზებსა და სპორტულ კლუბებში, აუზებზე, ესთეტიკურ ცენტრებში, სპა ცენტრებში, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, ჰიგიენური პროფილის სალონებში, სკოლებში, სასტუმროებში, ცეკვის სტუდიებში, ოფისებში, კურორტებზე, ბავშვთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაწესებულებებში.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

- **მოცულობა:** 103 კრედიტი;
- **სწავლების ხანგრძლივობა:** 19 სასწავლო თვე

პრაქტიკული კომპონენტის სწავლებაში ჩართული პარტნიორი ორგანიზაციები:

1. სს ქობულეთის სამედიცინო ცენტრი
2. შპს. ევექსის კლინიკა